შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია

1. ტექნიკური დოკუმენტაცია:

1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის საკვები პროდუქტების შესყიდვა, დანართი N2-ის შესაბამისად.

1.2 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს 2021 წლის 11 იანვრიდან 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით, ყოველდღიურად, შემსყიდველის წერილობითი დავალებისა და დანართი N3-ის („მოწოდების სავარაუდო გრაფიკი") შესაბამისად. კონკრეტული დღისათვის მისაწოდებელი პროდუქციის წერილობითი დავალება გაიცემა არაუგვიანეს წინა დღისა. შემსყიდველის დავალებაში მითითებული იქნება ინფორმაცია მისაწოდებელი პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის შესახებ. შემსყიდველი მიმწოდებელს წერილობით დავალებას უგზავნის ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის (E-mail) საშუალებით.

1.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი N3-ში („მოწოდების სავარაუდო გრაფიკი") განსაზღვრული გრაფიკისა და დროის (არაუგვიანეს 11:00 საათისა) შესაბამისად.

1.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: დანართი N2-ით („ფასების ცხრილი") განსაზღვრულ მისამართებზე განთავსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - ქალაქ თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (საბავშვო ბაგა- ბაღები).

1.5 საკვები პროდუქტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს და დანართი N4-ით („ტექნიკური დავალება") გათვალისწინებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

1.6 ხორცის პროდუქტები (საქონლის ხორცი და ქათამი) უნდა იყოს არაგაყინული, ყოველ შემოტანილ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული მოწმობები (ფორმა N2). პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.

1.7 შემსყიდველ(ებ)ის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული პროდუქტების ნებისმიერი სახის დოკუმენტი (წარმოშობის ან სხვა სახის სერტიფიკატი, შესყიდვის და სხვა დოკუმენტაცია).

შენიშვნა: ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემა არ იძლევა შესაძლებლობას კონკრეტულ CPV კოდებში განსახორციელებელ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურებში ატვირთულ იქნეს Excelის ფორმატის ფაილი (გაფართოებით - .xlsx), სატენდერო დოკუმენტაციის ფასების ცხრილი ატვირთულია Excel-ის ფაილის სახით, რომელსაც გაფართოებაში „.xlsx"-ის ნაცვლად მითითებული აქვს „.Pdf". აღნიშნული ფაილის გახსნა პრეტენდენტების მიერ შესაძლებელია ფაილის „.Pdf" გაფართოების შეცვლით - „.xlsx", ასევე, კონტექსტური მენიუს საშუალებით - „open with" და შემდეგ Excel-ის არჩევით.

2. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები

2.1 პრეტენდენტს 2017 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს საკვები პროდუქტების მიწოდების (საკვები პროდუქტების მიწოდებაში იგულისხმება, როგორც პროდუქტების ღირებულება, ასევე, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და გადასახადი) არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ღირებულების გამოცდილება, მათ შორის, ნებისმიერი ერთი თვის ფარგლებში მიწოდების ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 400 000 (ოთხასიათასი) ლარს. გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) ხელშეკრულებ(ები)ა და ამ ხელშეკრულებ(ები)ის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი
ან
ბ) საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

2.2 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საერთაშორისო ISO 9001:2008 ან ISO 9001:2015 ან ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის) მოქმედი სერტიფიკატი.

2.3 პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია მოსაწოდებელი ხორცის, რძის პროდუქტების და კვერცხის მწარმოებლ(ებ)ის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე პრეტენდენტსა და პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას/ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა პროდუქტების მიწოდებაზე, რომლ(ებ)ის მოქმედების ვადა ტოლი უნდა იყოს ან აღემატებოდეს მიწოდების ვადას. ამასთან, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ხორცის, რძის პროდუქტებისა და კვერცხის მწარმოებლ(ებ)ის სახელზე გაცემული ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის) მოქმედი სერტიფიკატ(ებ)ი (სფეროების მიხედვით) ან სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს" მიერ მინიჭებული პირობითი აღიარების/აღიარების დოკუმენტ(ებ)ი.

შენიშვნა: ელექტრონული პროცედურის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდილების დადასტურების მიზნით, სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმომწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი

უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

3. ელექტრონული ვაჭრობა

3.1 პრეტენდენტი ელექტრონული ვაჭრობისას წინადადების ფასის კლებას ახორციელებს სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში. სავარაუდო ღირებულება (საწყისი სავაჭრო ფასი) შეადგენს 25 370 560 (ოცდახუთიმილიონ სამასსამოცდაათიათას ხუთასსამოცი) ლარს.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: 2021 წლის 11 იანვრიდან 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით, ყოველდღიურად, შემსყიდველის წერილობითი დავალებისა და დანართი N3-ის („მოწოდების სავარაუდო გრაფიკი“) შესაბამისად.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილები მოცემულია დანართი N2-ში („ფასების ცხრილი“).

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ყოველთვიურად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5.3 დაფინანსების წყარო: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს მიერ თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, კერძოდ: ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღები) 2021 - 2022 წლების საკუთარი სახსრები.

6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

6.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები, სახელშეკრულებო ღირებულების 6%/12%–ის ოდენობით (დოკუმენტაციის შეფასების წესის მე-16 პუნქტის შესაბამისად).

6.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მიწოდების ვადას.

6.3 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

შენიშვნა:

წარმოსადგენ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიებში ბენეფიციარ(ებ)ად განსაზღვრული უნდა იქნეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციის დანართი N2-ით განსაზღვრული ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს მიერ თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - ქალაქ თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (საბავშვო ბაგა- ბაღები).

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის/გარანტიების გამოთხოვის უფლება უნდა გააჩნდეს თითეულ ბენეფიციარს, მასსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების შესაბამისად (ხელშეკრულებ(ებ)ის ძირითადი პირობები მოცემულია დოკუმენტაციის დანართის სახით).

7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) რეკვიზიტები, დანართი N1;

ბ) ფასების ცხრილი (Excel-ის ფორმატში), დანართი N2;

გ) პრეტენდენტის სახელზე გაცემული საერთაშორისო ISO 9001:2008 ან ISO 9001:2015 ან ISO 22000 („სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის“) მოქმედი სერტიფიკატი (დოკუმენტაციის 2.2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად);

დ) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად);

ე) პრეტენდენტსა და მოსაწოდებელი ხორცის, რძის პროდუქტების და კვერცხის მწარმოებელთან/მწარმოებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მწარმოებლების სახლზე გაცემული ISO

22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის) მოქმედი სერტიფიკატ(ებ)ი (სფეროების მიხედვით) ან სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მინიჭებული პირობითი აღიარების/აღიარების დოკუმენტ(ებ)ი (დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად);

ვ) შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის გამოუთხოვადი, უპირობო საბანკო გარანტია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

აუცილებელი პირობა: შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი (დანართები) ან/და ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ამასთან, პროცედურის განმახორციელებელის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტ(ებ)ის დედანი ან/და ნოტარულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

შენიშვნა: ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემა არ იძლევა შესაძლებლობას კონკრეტულ CPV კოდებში განსახორციელებელ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურებში ატვირთულ იქნეს Excelის ფორმატის ფაილი (გაფართოებით - .xlsx), სატენდერო დოკუმენტაციის ფასების ცხრილი ატვირთულია Excel-ის ფაილის სახით, რომელსაც გაფართოებაში „.xlsx“-ის ნაცვლად მითითებული აქვს „.Pdf“. აღნიშნული ფაილის გახსნა პრეტენდენტების მიერ შესაძლებელია ფაილის „.Pdf“ გაფართოების შეცვლით - „.xlsx“, ასევე, კონტექსტური მენიუს საშუალებით - „open with“ და შემდეგ Excel-ის არჩევით.

8. დამატებითი ინფორმაცია:

8.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების და გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ.

8.2 ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

8.3 დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით. საკონტაქტო პირი: გიორგი მამულაშვილი, ტელ: 577-15-80-90; E-mail: g.mamulashvili@tbilisi.gov.ge; ჯოტო პატარაია, ტელ: 595-65-93-65; E-mail: j.pataraia@tbilisi.gov.ge; ზაური ჯიოშვილი, ტელ: +995577799666; E-mail: z.jioshvili@tbilisi.gov.ge.

ხელშეკრულება N------

ხელშეკრულების პირობები (გარდა ძირითადი პირობებისა) შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი --------202_ წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ---------- (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---------- სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---------- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე და ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ------- (რაოდენობა) საკვები პროდუქტების (თანდართული ფასების ცხრილის (დანართი N2) მიხედვით) შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საშუალება - შესყიდვის ელექტრონული პროცედურა (#GEO_____),

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი - 158000000 - სხვადასხვა კვების პროდუქტები.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა - 2021 წლის 11 იანვრიდან 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით, ყოველდღიურად, შემსყიდველის წერილობითი დავალებისა და დანართი N3-ის („მოწოდების სავარაუდო გრაფიკი“) შესაბამისად.

3.2 კონკრეტული დღისათვის მისაწოდებელი პროდუქციის წერილობითი დავალება გაიცემა არაუგვიანეს წინა დღისა.

3.3 შემსყიდველის დავალებაში მითითებული იქნება ინფორმაცია მისაწოდებელი პროდუქტის სახეობისა და რაოდენობის შესახებ.

3.4 შემსყიდველი მიმწოდებელს წერილობით დავალებას უგზავნის ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის (E-mail) საშუალებით.

3.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ----------.

3.6 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი N3-ში („მოწოდების სავარაუდო გრაფიკი“) განსაზღვრული გრაფიკისა და დროის (არაუგვიანეს 11:00 საათისა) შესაბამისად.

3.7 საკვები პროდუქტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს და დანართი N4-ით („ტექნიკური დავალება“) გათვალისწინებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს;

3.8 ხორცის პროდუქტები (საქონლის ხორცი და ქათამი) უნდა იყოს არაგაყინული, ყოველ შემოტანილ პროდუქციას უნდა ახლდეს ვეტერინარული მოწმობები (ფორმა N2). პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.

3.9 შემსყიდველ(ებ)ის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული პროდუქტების ნებისმიერი სახის დოკუმენტი (წარმოშობის ან სხვა სახის სერტიფიკატი, შესყიდვის და სხვა დოკუმენტაცია).

3.10 ხორცის, რძის პროდუქტების და კვერცხის მწარმოებელი კომპანიის/ების ცვლილების შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია მოწოდების დაწყებამდე ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ში (ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 29-29ა, მე-3 სართული) წარმოადგინოს მწარმოებლ(ებ)ის სახელზე გაცემული ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის) მოქმედი სერტიფიკატ(ებ)ი (სფეროების მიხედვით) ან სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მინიჭებული პირობითი აღიარების/აღიარების დოკუმენტ(ებ)ი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 საკვები პროდუქტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს და დანართი N4-ით („ტექნიკური დავალება“) გათვალისწინებულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შემსყიდველის ან/და ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგეტოს“ მიერ, რათა დარწმუნდნენ შესყიდვის ობიექტის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების)

შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება, ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს (შესაბამი სი ბაღის დირექტორი).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ყოველთვიურად ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.4 დაფინანსების წყარო: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, კერძოდ: ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღები) 2021 - 2022 წლის საკუთარი სახსრები.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების 3.10 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით, ყოველ ჯერზე.

8.5 იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების დარღვევა ეხება დავალებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დღის სრულად გამოტოვებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ჯერზე.

8.6 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ.

8.7 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.8 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.9 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებებისშესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი

ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.10 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ე) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის დავალებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დღის სრულად გამოტოვების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს, მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით (გარდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული დავალების შეტყობინებისა). ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი/ქ-ნი: მობილური ტელეფონის ნომერი: ელექტრონული ფოსტა:

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი/ქ-ნი: ---, მობილური ტელეფონის ნომერი: ----, ელექტრონული ფოსტა: -------.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6%/12%-ის ოდენობით (დოკუმენტაციის შეფასების წესის მე-16 პუნქტის შესაბამისად).

15.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.4 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი: